№574 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამის (იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი)“ ფარგლებში, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრისათვის გრანტის გაცემის უფლების მინიჭების შესახებ

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №236 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საერთაშორისო ახალგაზრდულ პროგრამაში საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრს მიეცეს უფლება, გასცეს გრანტები „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამის (იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი)“ ფარგლებში, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**